ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3672644

ნომერი: AR1556632

თარიღი : 09.11.2017

გაცემის თარიღი : 09.11.2017

გაცნობის თარიღი : 09.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N99 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზვიადი წიკლაური პ/ნ 01027016042
- ვარკეთილი ზემო პლატ0 2-2-ბ60

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1556632 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N99-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: № 01.13.02.008.119)

საზღვრის კორექტირებას; პასუხად გაცნობებთ, რომ საკითხის შემდგომი განხილვისათვის უნდა დააზუსტოთ მოთხოვნა და განმარტოთ, თუ რატომ იკვეთება ტერიტორიაზე კოლექტორის მომსახურებისთვის არსებული სერვიტუტი უნებართვო მშენებარე შენობით. ამასთანავე დასაკორექტირებელი ტერიტორიის ამსახველი ფოტოები თარიღის მითითებით. აღნიშნული დოკუმენტების წარმოსადგენად გეძლევათ გაცნობიდან 15 დღიანი ვადა, შემდგომ სამსახური ხელმეორედ განიხილავს საკითხს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში საკითხი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.